დამტკიცებულია საქართველოს
საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამეურვეო საბჭოს
2020 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება N 489

ოქმი N 428

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამეურვეო საბჭოს წევრთა ეთიკის სტანდარტების დამტკიცების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და 28-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა ეთიკის სტანდარტები დანართი 1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი

გრიგოლ მურღულია

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა ეთიკის სტანდარტები

პრეამბულა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო:

აცნობიერებს რა,
რომ საზოგადოების ნდობა არის საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფუნდამენტი და ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორიას;

აღიარებს რა,
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სავალდებულო მაუწყებლობის პრინციპებს თავისუფალ, პლურალისტურ და დემოკრატიულ საზოგადოებაში და გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს აღნიშნული პრინციპებით;

ეყრდნობა რა,
საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას - უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პოლიტიკური და კომერციული გავლენებისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისთვის მიწოდება;

ადგენს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა ეთიკის სტანდარტებს, რომელსაც საბჭოს წევრები იცავენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და მის მიღმა:

1. **ურთიერთპატივისცემა და მრავალფეროვნება**

1.1. სამეურვეო საბჭოს წევრები ერთმანეთს და სხვებს ეპყრობიან პატივისცემით და სამართლიანად.

1.2. სამეურვეო საბჭოს წევრი პატივს ცემს მრავალფეროვან გარემოს, რომელშიც მუშაობს, ისმენს განსხვავებულ აზრს, საკუთარ განსხვავებულ აზრს აფიქსირებს ღიად და თავაზიანად.

1.3. სამეურვეო საბჭოს წევრი პატივს სცემს სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება

2.1. სამეურვეო საბჭოს წევრი გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. გადაწყვეტილების მიღებისას ის არ ექცევა ვინმეს ან რაიმეს ზეგავლენის ქვეშ და ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერი განზრახვებით.

2.2. სამეურვეო საბჭოს წევრი განაცხადებს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

3. ანგარიშვალდებულება

3.1. სამეურვეო საბჭოს წევრი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და მოქმედებს ღიად და სამართლიანად.

3.2. სამეურვეო საბჭოს წევრი უფრთხილდება საზოგადოების ნდობას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ და ზრუნავს მისი შენარჩუნების და ამაღლებისთვის.

4. ხარისხი და ეფექტიანობა

4.1. სამეურვეო საბჭოს წევრი ძალისხმევას არ იშურებს, რათა საკუთარი ფუნქციები განახორციელოს მაღალი ხარისხითა და საუკეთესო სტანდარტების დაცვით, რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზით.